

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის ა ნ გ ა რ
ი შ ი

2023 წელი

შესავალი

2023-24 სასწავლო წელს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უნივერსიტეტის სტრუქტურის ახალი ვარიანტის შემუსავებას, მის მაქსიმალურად საჯაროდ განხილვას.

რაც შეეხება სიახლეებს და პრიორიტეტებს, გამოიკვეთა, რომ 2023 წლის პრიორიტეტი იყო განსაკუთრებული ყურადღება დაგეგმილი რეფორმებისადმი, განსაკუთრებით დაფინანსების ახალი სისტემის განხილვა და სატანადო მომზადება, რათა უნივერსიტეტი მომზადებული დახვდეს რეფორმის განხორციელების პროცესს.

ავტორიზაციის მიღების შემდეგ მიმდინარეობდა უნივერსიტეტის რესტრუქტურის მიზნით მის სტრუქტურასა და საშტატო განრიგზე მუშაობა. პროცესი იყო ღია და მასში მონაწილეობდნენ: ფაკულტეტის საბჭოები, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები, სტუდენტები.

რეკომენდაციის გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტის სამუშაო ვერსიაში განხილვის პროცესში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება და კვლავ გაგრძელდა მისი განხილვა. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პრსონალის საშტატო ერთეულების განრიგის“ პროექტი გაიგზავნა უნივერსიტეტის თითოეულ ძირითად საგანმანათლებლო და სტრუქტურულ ერთეულთან სამსჯელოდ უკუკავშირის მისაღებად. ასევე განთავსდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე კითხვართან ერთად, რათა საუნივერსიტეტო საზოგადოებას დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრება ახალ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

პროექტი განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

განხილვის პროცესში მთავარი აქცენტი გადატანილი იყო უნივერსიტეტის ხანგრძლივი გამოცდილების გათვალისწინებასა და ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შინაარსზე.

საკანონმდებლო სიახლეების უნივერსიტეტში დანერგვის პროცესი

მიმდინარე წლის მთავარი გამოწვევა იყო პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონის უნივერსიტეტის რეგულაციებსა და საგანმანათლებლო პროცესებთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი. დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი (დამტკიცებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №56 დადგენილებით "23 "12" 2020 წ. ოქმი №8); საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №52/ნ ბრძანება №52/ნ დამტკიცებული წესდების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები (დამტკიცებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს №7 დადგენილებით" 27 "03" 2019 წ. ოქმი №4) საფუძველზე.წესის მიზანია, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას და გაცემისას უზრუნველყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური, დამხმარე (მთ შორის შტატგარეშე), მოწვეული (შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მასწავლებელთა პერსონალის (შემდგომში „პერსონალი“), სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

სასწავლო პროცესის მართვის სისტემა

გათვალისწინებულიქნა ხარისხის სამსახური სრეკომენდაცია და განახლდა უნივერსიტეტის **სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს** უნივერსიტეტში ელექტრონულ ურთიერთკავშირს ადმინისტრაციას, პროფესორებსა და სტუდენტებს შორის. სერვისი მოიცავს: სტუდენტების რეესტრს, სტუდენტის აკადემიური მოსწრების ინფორმაციის შეტანა/დამუშავებას, სასწავლო კურსების რეესტრს (კრედიტი, წინაპირობა), საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს, სილაბუსების ბაზას, სტუდენტის ინდივიდუალურ პანელს. აღნიშნული ინფორმაციის შეტანის შედეგად სისტემა ამუშავებს მონაცემებს და იძლევა შემდეგ შედეგებს: სხვადასხვა საბეჭდი ფორმები (სტუდენტის ბარათი, უწყისი, დიპლომის დანართი), სტატისტიკური რეპორტები. აღნიშნული სერვისი ასევე მოიცავს აკადემიურ რეგისტრაციას - სტუდენტის

აკადემიური თავისუფლების ხელშეწყობის მიზნით სისტემა აძლევს საშუალებას სტუდენტებს თავად დაგეგმონ აკადემიური კალენდარი, დარეგისტრირდნენ დადგინდეს დროს სასურველ სასწავლო კურსებზე (რასაც ითვალისწინებს სტუდენტის სასწავლო პროგრამა, სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით).

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესასვლელად სტუდენტს თავისი პროფილის პაროლი ენიჭება. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტმა შესაძლოა მიიღოს შემდეგი სახის მომსახურება: განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება, ნახოს სასწავლო ბარათი, მის მიერ არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები, მინიჭებული კრედიტები, გაეცნოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს, სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალს, გაეცნოს სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, გააკონტროლოს გადახდილი თანხები, მიიღოს ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის ცვლილების შესახებ. სწავლის დასრულების შემდეგ პროგრამულად ხდება დიპლომის დანართის ფორმირება.

სასწავლო პროცესის მართვის სისტემა წარმოადგენს ვებსაიტს, განთავსებულს ინტერნეტში, რაც იძლევა საშუალებას ვისარგებლოთ ამ სისტემით როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის გარეთ, პერსონალური კომპიუტერით, ლეპტოპით, პლანშეტით, სმარტფონით, რომელიც ჩართულია ინტერნეტში. სისტემაში შესასვლელად ბრაუზერში უნდა გადავიდეთ უნივერსიტეტის ვებგვერდიდან.

სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება, ჩაატარა ტრენინგები ბაკალავრიატის პირველკურსელებთან. ტრენინგი ტარდება უნივერსიტეტის სამივე კორპუსში, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად. ასევე ხდება სტუდენტების დარეგისტრირება მართვის სისტემაში და სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ შეცვალონ პირველადი პაროლი, რათა დაცული იყოს მათი კონფიდენციალურობა. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტებთან მიმდინარეობს ინდივიდუალური მუშაობა. 2020 წლის იანვრიდან დღემდე სტუდენტებთან ჩატარებულია როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური შეხვედრები, რათა მათ შეძლონ მართვის სისტემის შესაძლებლობების სრულყოფილად გამოყენება. ასეთი შეხვედრები დღესაც მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება პერმანენტულად.

მიუხედავად გაწეული საქმიანობისა, მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა დარღვევები. უნივერსიტეტს მოუწია ჯარიმის სახით გარკვეული ტანხის გადახდა. მივირეთ რეკომენდაციები, რომლებიც სხვადასხვაგვარია და რომელთა შესასრულებლად სხვადასხვა ვადა განისაზღვრა.

ინტერნაციონალიზაცია, გაცვლითი პროგრამები, საერთაშორისო მობილობა

ინტერნაციონალიზაცია კვლავ რჩება უნივერსიტეტის მტავარ პრიორიტეტად. საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა საბუთების მიღება ERASMUS+ სასტიპენდიო გაცვლით პროგრამაზე მონპელიეს უნივერსიტეტში (საფრანგეთი) ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის და პროფესორებისთვის! პროგრამის კოდით 0230,0210,0313, რაც გულისხმობს, რომ მხოლოდ ფილოლოგიის (ინგლისური, ქართული, თურქული, გერმანული) სტუდენტებს შეეძლება მობილობა, როგორც ენის ასევე ლიტერატურის მიმართულებით, ასევე დაფინანსდება ფსიქოლოგიაც. გამოცხადებული მობილობით ისარგებლა ორმა პერსონალმა. ორი სტუდენტი ემზადება ფრანგულში და როგორც კი ჩააბარებენ გამოცდას ფრანგულ ენაში, ისინიც გაემგზავრებიან.

გაგრძელდა წარმატებული ტანამშრომლობა უნივერსიტეტის უცხოელ პარტნიორებთან. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი, მეორე და მესამე კურსის 10 წარჩნებული სტუდენტი, პროფესორ ნინო მილაშვილის ხელმძღვანელობით, თურქეთის რესპუბლიკის კავკასიის უნივერსიტეტის მიწვევით და სრული ფინანსური მხარდაჭერით, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში, იმყოფებოდნენ ვეტერინარიის ფაკულტეტზე. სტუდენტები, ერთი კვირის განმავლობაში გაეცნენ ვეტერინარიის ფაკულტეტის სასწავლო პროცესს და არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. თურქეთის კავკასიის უნივერსიტეტის ვეტერინარული ფაკულტეტი ვეტერინარული დაწესებულებების ევროპული ასოციაციის სრულუფლებიანი წევრია. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ერთ ერთ მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს. ამ მიმართულების როლი მას შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, რაც საშუალება მიეცა პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს უფრო აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა სახის აქტივობებში საზღვარგარეთ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, როგორც ინსტიტუციური განვითარების (CBHE), აგრეთვე, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობა (ICM). უნივერსიტეტში განხორციელებულია Tempus-ის და ერასმუსის პროექტები. ამჯერად მიმდინარეობს ერასმუს+-ის ოთხი ინსტიტუციური განვითარების პროექტისა და საერთაშორისო მობილობის ხუთი პროექტის განხორციელება.

გარდა ერასმუს+ გაცვლითი პროგრამისა უნივერსიტეტში მოქმედებს მემორანდუმის ფარგლებში გაცვლა, რომელიც ხორციელდება პოლონეთის „ლოძის უნივერსიტეტთან“. გაცვლითი პროგრამა „პირდაპირი მობილობით“ უკვე ისარგებლა ათეულმა სტუდენტმა. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლონეთის რესპუბლიკის ლოძის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე.

შერჩეული კანდიდატები სწავლის საფასურს მასპინძელ უნივერსიტეტში არ იხდიან. სწავლა გრძელდება ერთი სემესტრის განმავლობაში. კანდიდატების შერჩევა მიმდინარეობს წინასწარ დაგეგმილი კონკურსის შესაბამისად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფაკულტეტის სტუდენტს, ვინც ფლობს ინგლისურ ენას.

თურქულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა მეგლანას გაცვლითი პროგრამით.

საერთაშორისო გრანტის მოპოვებამდე პარტნიორებს შორის იწერება პროექტი, რომლის დაფინანსების შემდეგ სტუდენტები, სტაფი და პროფესორები მონაწილეობენ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტთან მობილობის პროგრამებში. წლების განმავლობაში განხორციელებულია როგორც სემესტრული, აგრეთვე მოკლე ვადიანი გაცვლითი პროგრამები.

1. ქეთევან ასპანიძე- განათლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2. სალომე ღამბაშიძე- საჯარო მართვა,

მიმდინარე წლის 14-21 მაისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი სპეციალისტი – გურანდა მოდებაძე და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ინგლისური ენის პროგრამის ასოცირებული პროფესორი – დიანა მიქელაძე იმყოფებოდნენ რუჟომბეროკის კათოლიკურ უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობით (Erasmus+ ICM). პროგრამა, მოიცავდა პერსონალის გადამზადებას(ტრენინგს) და ლექციების ჩატარებას. ერასმუს+ ამ პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა სამომავლო პარტნიორების მოძიების მხარდამჭერი მექანიზმების განხილვა, იყო გაცნობითი სახიათის შეხვედრები, განხილული იქნა სამომავლო თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივები. მოეწყო შეხვედრა ერასმუს+ სტუდენტებთან. ქალბატონმა დიანამ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე- „ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობის პრინციპები ინგლისური ლიტერატურის საწყის ეტაპზე“. მოგვხსენებათ, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტთან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2020 წლიდან თანამშრომლობს და მას შემდეგ განვახორციელეთ, სამი სტუდენტის, ორი პროფესორისა და ერთი ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობა.

მიმდინარე წლის 8-14 მაისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საჯარო მართველობის პროგრამის მოწვეული სპეციალისტი ნონა კალანდაძე იმყოფებოდა, ლოდის უნივერსიტეტში (პოლონეთი) ლექციების ჩასატარებლად. პროგრამა განხორციელდა Erasmus+ საერთაშორისო მობილობის (ICM) ფარგლებში და სრულიად დაფინანსდა Erasmus+ მოპოვებული გრანტის ფარგლებში. ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში ქალბატონი ნონა კითხულობდა ლექციებს როგორც პოლონელი აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის

საერთაშორისო მობილობაში მყოფი სტუდენტებისათვის. ლექციების თემატიკა მოიცავდა შრომის საერთაშორისო სამართლის პერსპექტივებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და ევროკავშირის როლის გათვალისწინებით, შრომითი მიგრაცია – საქართველოს პერსპექტივიდან, სამუშაო ძალის მოძრაობა – პოლონეთი და უკრაინა აგრეთვე შრომითი მიგრაციის საერთაშორისო სტანდარტები და საერთაშორისო ნორმატიული აქტები. აგრეთვე მას ჰქონდა შეხვედრა უნივერსიტეტის პროფესურასთან.

გამოცხადდა გაცვლითი პროგრამა სჯსუს სტუდენტებისთვის. მიმდინარე წლის KA 107 გამოცხადებაზე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიპოვა Erasmus+ სრული დაფინანსება საერთაშორისო მობილობაზე (ICM) რუჟომბეროკის კათოლიკურ უნივერსიტეტთან (სლოვაკეთი) და ლოდის უნივერსიტეტი, პოლონეთი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიიღეს შანსი მონაწილეობა მიეღოთ საერთაშორისო მობილობაში – სრული დაფინანსებით! ერთი სემესტრით ერთ სტუდენტზე გამოყოფილია 4360 ევრო.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა

დასრულდა რეაბილიტაცია ახალქალაქის მე-4 კორპუსის. ახლა მიმდინარეობს გარკვეული პროცედურები უნივერსიტეტისთვის მისი ჩაბარების კუთხით. უნივერსიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ახალი სასწავლო წელი ახალ კორპუსში დაიწყო. შევგახსენებთ, რომ მე-4 კორპუსი არის რეაბილიტირებული პროფესიული საგანმანათლებლო როგრამებისთვის.

უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფის ერთ-ერთი სასუალებაა საგრამტო დაფინანსების მოპოვება. ნოემბერში გამოცხადდა სპეციალური გრანტი, რომლის ფარგლებშიც თითოეულ უნივერსიტეტს ექნება შესაძლებლობა, გარკვეული დაფინანსება მოიპოვოს პროექტის საფუძველზე, რომელიც შეიცავს ინოვაციას, რომელიც ინკლუზიურობით ხასიათდება (ინკლუზიურობაში იგულისხმება ის, რომ არა მარტო საუნივერსიტეტო სივრცის, არამედ სხვადასხვა საუნივერსიტეტო გარეთა პარტნიორების ჩართულობითა და მათი მონაწილეობით განხორციელდება და რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პარტნიორ კავკასიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გაიმარჯვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 02 ივნისის №582615 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „კონკურენტული ინოვაციის ფონდის CIF-ის (საქართველო I2Q ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი კონკურენტული ინოვაციის ფონდი) ფარგლებში გამოცხადებული პირველ საგრანტო კონკურსში. პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ წარდგენილ იქნა საპროექტო განაცხადი: „სამეწარმეო

განათლება, გზა ინოვაციის, თანასწორობისა და ხარისხისაკენ“. პროექტმა კონკურსის ფარგლებში წარდგენილი 30 განაცხადს შორის მე-4 ადგილი დაიკავა და მოიპოვა დაფინანსება. აღნიშნულ პროექტს კავკასიის უნივერსიტეტი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ინოვაციების და მეწარმეობის ცენტრის ჩართულობით განხორციელებს. CIF-ის მიზანია, ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების პროგრამებისა და სასწავლო გარემოს სწრაფ მოდერნიზებას და შრომის ბაზართან მათი კავშირის გაძლიერებას. 2023 წლის 9 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა მეტად საინტერესო პროექტის პრეზენტაცია, რომელსაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი კავკასიის უნივერსიტეტთან პარტნიორობით ახორციელებს. მხარდამჭერები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მსოფლიო ბანკი. პროექტის საერთაშორისო პარტნიორია ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის „ინოვაციებისა და მეწარმეობის ოფისი (GWOIE)“, რომელიც ხელს შეუწყობს აშშ-ის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვასა და მსოფლიო ექსპერტებთან თანამშრომლობას ინოვაციებისა და მეწარმეობის მიმართულებით, ასევე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს უნივერსიტეტის ინტელექტუალური რესურსების განვითარებაში. პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. მოხსენება პროექტის შესახებ გააკეთა კავკასიის უნივერსიტეტის პროექტების მართვის დეპარტამენტის დირექტორმა აკაკი კაპანაძემ, რომელმაც ისაუბრა პროექტის მიზნებსა და ძირითად ამოცანებზე, ხოლო კავკასიის უნივერსიტეტის ინოვაციების და მეწარმეობის ცენტრის გამოწვევები და გეგმები აუდიტორიას ცენტრის დირექტორმა გიორგი ბურდულმა გააცნო. შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო ონლაინ შეხვედრას ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის „ინოვაციებისა და მეწარმეობის ოფისთან“.

სწავლა-სწავლება

სასწავლო წელი სასიამოვნო ინფორმაციით დაიწყო. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კლასტერის სამივე პროგრამამ და ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამამ მიიღო შვიდ წლიანი აკრედიტაცია. ასევე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კლასტერის პროგრამებმა მიიღო 7-წლიანი აკრედიტაცია. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობისაა უნივერსიტეტისთვის, რადგან კლასტერული აკრედიტაცია სიახლეა და უნივერსიტეტისთვის გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენდა.

პროფესიული განათლება

პროფესიულ პროგრამებზე ძალიან მაღალია ჩარიცხვის მსურველთა ინტერესი, რაც ასევე ძალიან გვახარებს. ახალციხეში, როგორც მოგეხსენებათ, საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გვაქვს. ყოველნაირ ჩვენს მოლოდინს აჭარბებს ხოლმე რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა. ჩვენ მიმდინარე წელს

გამოვაცხადეთ მიღება რამდენიმე პროგრამაზე: ელექტრობა, სატყეო საქმე, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, საბუღალტრო აღრიცხვა, მებოსტნეობა, ძალიან დიდი კონკურსი და სერიოზული მსურველები არიან საბაჟო საქმეზე. ძალიან მახარებს, რომ ქართველებთან ერთად დიდ ინტერესს გამოხატავენ სომხები, წელს განსაკუთრებით გაგვახარა იმ ფაქტმა, რომ ინტეგრირებულ პროგრამებზეც არიან მსურველები ანუ მე-9 კლასიდან გამოვიდნენ ახალგაზრდები, ენდვენ ჩვენს შეთავაზებას; ისინი ჩააბარებენ უნივერსიტეტში და დაასრულებენ სწავლას ზუსტად ისევე, როგორც მათი თანატოლები სკოლებში, მაგრამ მათ ექნებათ ერთი სერიოზული უპირატესობა - ისინი ატესტატთან ერთად (სკოლის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად) მიიღებენ პროფესიას, კონკრეტულად, მათ მიერ არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე ანუ ეს ყველაფერი აისახება დიპლომში. ამ დიპლომით მათ შესაძლებლობა ექნებათ, შემდეგ სწავლა გააგრძელონ ნებისმიერ პროგრამაზე, უმაღლესი განათლების საფეხურზე. აქვე ერთ სიახლეზე გავამახვილებთ ყურადღებას. ვინაიდან უკვე დასრულდა შენობის რეაბილიტაცია ახალქალაქში, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, ვიფიქროთ პერსპექტივაზე. ჩვენი პერსპექტივა გულისხმობს შემდეგს. ახალქალაქში შენობა დაგეგმილი და დაპროექტებულია ისე, რომ ის ითვალისწინებს ჯავახეთის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვან პროფესიულ პროგრამებს, როგორცაა რძის დამუშავების პროგრამა, როგორცაა ხორცის დამუშავება, ძალიან მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი პროგრამა, როგორცაა ვეტერინარია. ამიტომ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ უკვე რძის დამუშავების პროგრამაზე. ჩვენ ვეცდებით, რომ ფონდები მოვიძიოთ. რაც შეიძლება აქტიური კომუნიკაცია გვაქვს როგორც განათლების სამინისტროსთან, ისე პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოსთან, რაც გარკვეულწილად გვაძლევს იმის გარანტიას, რომ პროგრამის ამოქმედება იქნება კარგად გააზრებული. რაც მთავარია, ამავე პროგრამის განვითარებაში მონაწილეობას მიიღებენ უშუალოდ ფერმერები, უშუალოდ დამსაქმებლები, ვისთვისაც რეალურად ვასრულებთ პროგრამას. როდესაც ვამბობთ, მონაწილეობას მიიღებენ, აქ იგულისხმება ორი ფორმა. ეს არის, პროგრამის დანერგვაში მონაწილეობა და მეორე - თავად განხორციელებაშიც შევთავაზებთ მათ თანამონაწილეობას. საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში დამსაქმებლებთან - კლინიკა „სიცოცხლის ხესთან“ და „ევექსთან“ ამგვარი ურთიერთობის კარგი მაგალითი გვაქვს. ისინი პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის პოტენციური დამსაქმებლებიც არიან და პედაგოგებაც, შედეგად არც ერთი სტუდენტი არ არის დაუსაქმებელი.

პირველი რესპუბლიკური კონფერენცია ახალქალაქში

არ შეიძლება კიდევ ერთხელ ხაზი არ გავუსვა და დიდი მადლიერება არ გამოვხატო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მისამართით, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით გამოირჩევა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს პარტნიორულ ურთიერთობებს. სექტემბერში ჩვენ გვქონდა რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორი იყო თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და რომელსაც

სიამოვნებით ვუმასპინძლეთ ახალქალაქის რეაბილიტირებული კორპუსის საკონფერენციო დარბაზში. დარწმუნებული ვართ, რომ ახალი საკონფერენციო დარბაზი ძალიან ბევრ საინტერესო და ბევრ მნიშვნელოვან ღონისძიებას უმასპინძლებს.

პროექტი „ჰორიზონტი ევროპის“ ფონდში

თითოეულ უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის ფარგლებში, რომელსაც, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიც ახორციელებდა, ჩვენს უნივერსიტეტში გაიხსნა Horizon Europe-ს (ჰორიზონტი ევროპა) ოფისი. ჩვენ გვყავს ოფისის ხელმძღვანელი. ოფისის ფარგლებში, ყოველდღიურ რეჟიმში, მიმდინარეობს საქმიანობა, რათა ჩვენმა დოქტორანტებმა, ჩვენმა პროფესორამ მაქსიმალურად ისარგებლონ იმ შესაძლებლობებით, რასაც კვლევებში აძლევს მათ Horizon Europe. ჩვენთვის აბსოლუტურად გასაგებია და გადაჭარბებულად არ ვაფასებთ საკუთარ შესაძლებლობებს. პირიქით, ვაცნობიერებთ, რომ ამ მიმართულებით ძალიან ბევრი გვჭირდება.

გაიმართა პროექტების წერისა და კონსულტაციების ბანაკი. „ჰორიზონტი ევროპა“ ევროკომისიის მხარდაჭერით მკვლევარებმა და ინოვაციურებმა მონაწილეობა მიიღეს კოლაბორაციული კვლევითი პროექტების წერისა და ინდივიდუალური საექსპერტო კონსულტაციების სამდღიან ბანაკში, რომელიც გაიმართა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით და რომლის მიზანიც იყო ხელს შეეწყოს საქართველოს წარმომადგენლების მიერ მაღალი ხარისხის საპროექტო წინადადებების მომზადებასა და ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ქსელებში მათ ინტეგრაციას.

ღონისძიებების ფარგლებში ასევე დაგეგმილი იყო ეროვნული საკონტაქტო პირების (NCP) ნახევარდღიანი ტრენინგი, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტულ აქტივობებზე პრაქტიკული რჩევების მიწოდებას ევროპის ჩარჩო პროგრამის ხელშეწყობისთვის და დაეხმარება ეროვნულ საკონტაქტო პირებს, განავითარონ და დაგეგმონ სერვისები კარგად გააზრებული სტრატეგიული მიდგომის გამოყენებით, რათა „ჰორიზონტი ევროპა“ გახდეს მეტად ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის. უნივერსიტეტის წარმომადგენელი აქტიურად იყო ცართული ბანაკის მუსაობაში.

სტუდენტური აქტივობები

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა შეიცვალა. 2023 წლის 21 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური

თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. სტუდენტურ თვითმმართველობაში აირჩა 41 დელეგატი.

წარმატებული იყო 2023 წელი უნივერსიტეტის სტუდენტური აქტივობების კუთხით უნივერსიტეტის და ქვეყნის გარეთ.

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა ორგანიზებით ქალაქ ბათუმში გაიმართა საზაფხულო სკოლა კონსტიტუციური მართლმსაჯულების აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.
- საზაფხულო გაცვლითი პროგრამა ამერიკაში სირუნიკ ავეტისიანი და ნინო ზედგინიძე 2023 წლის ზაფხულში ამერიკის ინსტიტუტების შესწავლის საზაფხულო გაცვლითი პროგრამის (2023 Study of the U.S. Institute (SUSI) for Student Leaders on Civic Engagement) ფარგლებში ხუთი კვირით გაემგზავრნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მოინახულეს ვაშინგტონის უნივერსიტეტი სიეტლში და გაეცნენ ამერიკის ისტორიასა და კულტურას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამით ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 4 მონაწილე შეირჩა და მათ შორის იყვნენ ჩვენი სტუდენტები!

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას უნივერსიტეტი განიხილავს როგორც უწყვეტ პროცესს, ამიტომ აქტიურად იგეგმება პედაგოგთა მომზადების კურსები სხვადასხვა მიმართულებით:

- 2023 წლის 6 და 7 მარტს გაიმართა ტრენინგ-ვორკშოპი- TM2 აკადემიური პერსონალისთვის Erasmus+ DITECH (ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლება და სწავლა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში) პროექტის ფარგლებში

საერთაშორისო პროექტები

- საანგარიშო წელს, ERASMUS+ ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CBHE) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის – „სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით“ (VETPRO), კონსორციუმის წარმომადგენელთა პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას უმასპინძლა ევროპის უნივერსიტეტმა.კონსორციუმს ესწრებოდა პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები ევროპის უნივერსიტეტიდან, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტიდან, ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების

უნივერსიტეტიდან. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აღნიშნულ სამუშაო პაკეტს, სადაც განხილული იქნა პროექტით გათვალისწინებული სამუშაო პაკეტები, დაგეგმილი აქტივობები, დასახული მიზნები და შესაბამისი ინდიკატორები, ესწრებოდა პროექტის მენეჯერი, საერთაშორისო ურთიერთობების უფროსი სპეციალისტი გურანდა მოდებაძე და პროფესორები, პროექტის მკვლევრები, ლევან მაკარაძე და ნინო მილაშვილი. აღსანიშნავია, რომ პროექტი – VETPRO მიზნად ისახავს საქართველოში ვეტერინარიის დარგის განვითარებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, პროექტი შემდეგ ამოცანებს ითვალისწინებს: ვეტერინარიის ფაკულტეტების განვითარება და სწავლების ხარისხის ამაღლება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად; ვეტერინარიის სფეროში უწყვეტი განათლების მხარდაჭერა ღია წვდომის ონლაინ კურსების შეთავაზებით; სოციალურ-ეკონომიკური სექტორის მხარდაჭერა საუნივერსიტეტო საზოგადოებასა და ფართო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის დამყარებით”

- EU- Erasmus+ DITECH(Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian HEIs –ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლა-სწავლება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, კოორდინატორი ტალინის უნივერსიტეტი -Tუსტონეთი) პროექტის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა სჯუნის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი-დეკანები, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები და საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ხარისხის სამსახურის პროექტის ფარგლებში, ჩვენი ევროპელი პარტნიორების დახმარებით მომზადდა ორი ტრენინგ-მოდული, აკადემიური პერსონალისა და ონლაინ ინსტრუქტორებისთვის; ორი ინოვაციური კურსი, საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე (სილაბუსები და რიდერები, მ.შ. ქართულ ენაზე), მოწესო ლაბორატორია (უნივერსიტეტისთვის შექმნილი იქნა ონლაინ კურსების მოსამზადებლად ძვირადღირებული, ვიდეო სტუდიოს აპარატურა, კომპიუტერები, ლეპტოპები, სმარტბორდები, საგანმანათლებლო სოფტები და სხვა). ევროპელ პარტნიორებისგან მიღებული გამოცდილება გაზიარებული იქნა როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალისთვის, კერძოდ, აღნიშნულ კურსებში პილოტირება გაიარა უნივერსიტეტის 38 სტუდენტმა, ამჟამად ინგლისური ენის პროგრამაზე მიდის სტუდენტთა პილოტირების პროცესი; პროფესიული გადამზადების ტრენინგები ტალინის და კაუნასის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებში გაიარა უნივერსიტეტის ექვსმა თანამშრომელმა,; ადგილზე გადაამზადეს (3-5 ოქტომბერი, 2022, ტრენინგი) სჯუნის აკადემიური პერსონალი (37)-, ასევე ონლაინ ინსტრუქტორები (21-6-7 მარტი, 2023); დაგეგმილია სკოლის მასწავლებელთა გადამზადება საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში (ერთი შეხვედრა ჩატარდა ონლაინ, მ/წლის 24 მარტს, 60 კრედიტიან, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელთათვის). 18-24 აპრილს

პროექტის ფარგლებში, პარტნიორ უნივერსიტეტში (კორკი, ირლანდია) დაგეგმილია კონსორციუმის შეხვედრა, შეხვედრაზე განიხილება პროექტის მენეჯმენტის და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები.

- 2023 წლის 2-5 მაისს, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)“ პირველი გაერთიანებული შეხვედრა გაიმართა პრაღაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში. შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობდნენ პროექტის კონსორციუმის წევრები – ევროკავშირის პარტნიორი ინსტიტუტების, საქართველოს უნივერსიტეტების და ასევე არასაუნივერსიტეტო პარტნიორების წარმომადგენლები. ჩარლზის უნივერსიტეტის მედიცინის პირველმა ფაკულტეტმა (CUNI) უმასპინძლა. ოთხდღიანი სამუშაო პროგრამა მოიცავდა საპროექტო შეხვედრებს, ლექციებს და სასწავლო ვიზიტს. ოფიციალურ პროგრამას მოჰყვა სოციალური პროგრამა პრაღის ისტორიული ცენტრის დათვალიერებით და ჩარლზის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ვახშამი.
- 5 – 9 სექტემბერს Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CBHE) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით“ (VETPRO) ფარგლებში გაიმართა სამუშაო ვიზიტი ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (ელგავა, ლატვია). ვიზიტის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ვეტერინარიის ფაკულტეტის სტრუქტურასა და მატერიალ-ტექნიკურ ბაზას, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმს, სასწავლო პროგრამებზე (ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო და სადოქტორო) მიღების წესს, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების საკითხს, პრეკლინიკურ და კლინიკურ სასწავლო კურსებს, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშემწყობ მექანიზმებს, და სხვა. ვიზიტის განმავლობაში, მონაწილეებს ასევე მიეცათ შესაძლებლობა მოენახულებინათ ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევით ფერმა “Vecauce”, რომელიც არის ერთადერთი სახელმწიფო მეურნეობა-მესაქონლეობისა და ვეტერინარული მედიცინის კვლევისა და პრაქტიკის ცენტრი.
- 26 აგვისტოს საერთაშორისო საზაფხულო სკოლა “მეცნიერების თანამედროვე სტანდარტები – აფხაზეთის შემსწავლელი კვლევების გამოწვევები და პერსპექტივები” საზეიმოდ გაიხსნა ახალციხის ციხის ციტადელზე. სამუშაო შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის, პავლე ზაზაძის საკონფერენციო დარბაზში გაგრძელდა.

2023 წლის გამორჩეული მოვლენები:

- ❖ **სჯსუ ამიერკავკასიის საუკეთესო 50 უნივერსიტეტი**შია: „მსოფლიო უნივერსიტეტების ვებომეტრიული რეიტინგის“ მიხედვით, რომელიც ეკუთვნის, ესპანეთის უმსხვილეს საზოგადოებრივ კვლევით ორგანოს (Consejo Superior de Investigaciones Cientificas (CSIC)), სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამიერკავკასიის 50 საუკეთესო უნივერსიტეტს შორისაა 39-ე ადგილით.საამაყო, რომ რეიტინგის სიას ლიდერობს სამი ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი.სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგიონული უნივერსიტეტების სამეულშია, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის მე-7 ადგილს იკავებს.რეიტინგი განსაზღვრავს მსოფლიო უნივერსიტეტებს შორის, ასევე ევროპის უნივერსიტეტებს შორის ადგილებსაც. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს 32 164 უნივერსიტეტიდან იკავებს 14 292-ე ადგილს, ხოლო ევროპის 6 036 უნივერსიტეტიდან 3 226-ე ადგილს. მსოფლიო უნივერსიტეტების ვებომეტრიული რეიტინგის შემუშავებისას გათვალისწინებული მთავარი ინდიკატორი იყო სამეცნიერო აქტივობა და ბიბლიომეტრული მეთოდებით მიღებული შედეგები. ვულოცავთ უნივერსიტეტის პროფესურასა და სტუდენტობას მიღწეულ წარმატებას
- ❖ საანგარიშო წლის 20 დეკემბერს პარლამენტში განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მიერ ჩატარებული თემატური მოკვლევის - „საქართველოს რეგიონებში მდებარე საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე არსებული გამოწვევების განსაზღვრა და მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავება“ ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა.